კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ნინო ქავთარია ქეთევან ტატიშვილი ეკა დუღაშვილი
NINO KAVTARIA KETEVAN TATISHVILI EKA DUGHASHVILI

# ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ხელნაწერთა გაფორმებაში:

## ლიტერატურული და იკონოგრაფიული წყაროები

# THE BIBLICAL SCENES IN THE DECORATION OF THE GEORGIAN MANUSCRIPTS:

## LITERARY AND ICONOGRAPHICAL SOURCES

თბილისი 2018 TBILISI

ალბომის პირველი გამოცემა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსში მოპოვებული გრანტით (FR/561/1-40/12).

First edition of the album was fulfilled with the support of the Basic Research Grant of Shota Rustaveli National Science Foundation.

| | |
|---|---|
| ტექსტი | TEXT |
| ნინო ქავთარია | Nino Kavtaria |
| ქეთევან ტატიშვილი | Ketevan Tatishvili |
| ეკა დუღაშვილი | Eka Dughashvili |
| თარგმანი | TRANSLATION |
| თამარ ჟღენტი | Tamar Zhghenti |
| დიზაინი | DESIGN |
| ვიოლა ტუღუში | Viola Tugushi |

ISBN 978-9941-9539-7-2

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

ხელნაწერი წიგნი სულიერი კულტურის, მხატვრული და საღვთისმეტყველო აზროვნების ჰარმონიული შერწყმის ნიმუშია. ხელნაწერში ჩართული მინიატიურები და ტექსტები მნიშვნელოვანი წყაროა შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად. ტექსტები და მათი გაფორმების ელემენტები ეპოქის შესაბამის მხატვრულ და ლიტერატურულ ტენდენციებს ასახავს. IX-XVIII საუკუნეების ქართული ხელნაწერები წარმოადგენენ შესაბამისი კულტურული ფონისა და პოლიტიკური გარემოს ანარეკლს.

მთარგმნელობითი ხელოვნებისა და საზოგადოდ მწიგნობრობის აყვავება-განვითარების ფონზე სამწიგნობრო კერებში შექმნილი ხელნაწერები წარმოადგენდა ორიგინალური ლიტერატურული და მხატვრული განვითარების სხვადასხვა ეტაპს.

ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა, მასში ჩართული მინიატიურული მხატვრობის სახით, ქრისტიანული ხელოვნების მნიშვნელოვან ნიმუშებს შეიცავს. IX-XVIII საუკუნეების ხელნაწერებში დაცული მინიატიურათა იკონოგრაფიული არეალი გამომდინარე ხელნაწერთა შედგენილობიდან მოიცავს სიუჟეტებს ძველი და ახალი აღთქმიდან, საღვთისმეტყველო და ლიტურგიკული თხზულებებიდან, ჰიმნოგრაფიიდან.

მინიატიურული მხატვრობის შესწავლის დროს არაერთხელ წამოიჭრა საკითხი სიუჟეტების, ფიგურებისა თუ ცალკეული თემების შინაარსობრივ პრობლემებზე, მათ სიმბოლურ-სახისმეტყველებით მნიშვნელობაზე და იმ იკონგრაფიულ კანონზე, რომლის გათვალისწინებითაც ერთი და იგივე სიუჟეტი საუკუნეების განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა.

ბიბლიური (ძველი და ახალი აღთქმის) სახეები და სიუჟეტები საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის თხზულებებში აისახა. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ჰომილეტიკა, ჰიმნოგრაფია და აპოკრიფული ტექსტები. ბიბლიური თემატი კის ტექსტობრივი ინტერპრეტაციები მრავალი ასპექტით არის საინტერესო.

ქართული ჰიმნოგრაფიისა და ჰომილეტიკის ჩასახვა და განვითარება კვალდაკვალ მიჰყვება ბიზანტიურ ლიტერატურულ ტრადიციას და განვითარების თავისებურ მიმართულებას წარმოაჩენს. ქართული თარგმანების ტექსტობრივი სტილი საუკუნეების მიხედვით (IX-XI სს.)იცვლებოდა.

ამ ცვლილებას განაპირობებდა IX-X საუკუნეებში ბიზანტიურ პალესტინასთან და X ს-ის შემდგომ კონსტანტინეპოლთან კულტურული კავშირები და შემდეგ იერუსალიმური საეკლესიო ტრადიციიდან კონსტანტინეპოლურზე გადასვლა, რამაც შემდგომ ბევრად განაპირობა საეკლესიო ლიტერატურისა და წიგნის მხატვრობის ხასიათი.

ქართული და ბიზანტიური შუა საუკუნეების ესთეტიკური აზროვნების თანახმად შუა საუკუნეების ხელოვნებაში გამო-სახულების კანონიკურობა გახდა განმსაზღვრელი. ადრექრისტიანულ პერიოდში ჩამოყალიბებულმა იკონოგრაფიულმა სქემებმა, განსაკუთრებით კონსტანტინეპოლისა და ბიზანტიის მცირე აზიის პროვინციებში, IX-X საუკუნეებში ხატმებრძო-ლეობის დამარცხების შემდეგ კანონიკური სახე მიიღო. IV-VII საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა წმინდა წე-რილის დოგმატური შედგენილობა და ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი დოგმები, რაც აისახა მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებში. ამ კრებების დადგენილებებით განისაზღვრა საეკლესიო დღესასწაულები, დადგინდა წმინდანების გამოსახვის წესები, განისაზღვრა გამოსახულებებისა და ხატების არსი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა V-VI მსოფლიო კრების აქტებს, რომლებიც ძირითადად ხელოვნებას ეხება. ამიერიდან უარი უნდა ეთ-ქვათ აბსტრაქტულ სიმბოლოებზე. კრებამ დაადგინა, რომ ძველი აღთქმისა და ქრისტიანობის პირველი საუკუნეების სიმბოლოები უნდა შეეცვალათ პირდაპირი გამოსახულებებით. უპირველესად ეს ეხებოდა მაცხოვრის გამოსახულებას ადამიანური სახით.

სახარებისეული სიუჟეტების მთავარი წყარო ახალი აღთქმაა. ბევრი სიუჟეტი კანონიკურ ტექსტებში საკმაოდ მოკლედაა გადმოცემული, ამიტომ მხატვრული გამომსახველობისათვის ხდებოდა მათი გამდიდრება სხვა წყაროებით, ძირითადად კი აპოკრიფებით, ასევე საგალობლებით, ჰომილიებითა და ეკლესიის მამათა სხვა ნაშრომებით.

მაცხოვრის გამოსახულება და სახარებისეული თემები ის ძირითადი ქარგაა, რომელზედაც იგებოდა შუა საუკუნეების მხატვრული შემოქმედება. ყველაზე უფრო ახლოს ლიტერატურულ წყაროებთან იდგა წიგნის მხატვრობა. მინიატიურული მხატვრობა ხელოვნების შედარებით „თავისუფალი“ დარგი იყო და ეს აისახა სიუჟეტების მრავალფეროვნებასა და თავისუფალ ინტერპრეტაციაში. ქართული წიგნის მხატვრობის იკონოგრაფიულ წყაროებად ბიზანტიურის გარდა უნდა მივიჩნიოთ ასევე აღმოსავლეთ ქრისტიანული ტრადიციები. ამავდროულად ქართული წიგნის მხატვრობის ადრეულ ეტაპზევე (IX-X საუკუნეები) შეიძლება თვალი გავადევნოთ ქართველი წიგნის მხატვრების ჩამოყალიბებულ იკონო-გრაფიულ შემოქმედებას.

ხელნაწერის იკონოგრაფიული სქემა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნუსხის ტექსტობრივ ნაწილთან, ძირითადად, სახარებასთან.

ქრისტიანულ სამყაროში სახარების შემდეგ ფსალმუნს თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ქართულმა ქრისტიანულმა წიგნის ხელოვნებამ ფსალმუნთა რამდენიმე დასურათებული ნუსხა (H-1665, H-75, ი181)შემოგვინახა. მათში ჩართული სიუჟეტური კომპოზიციები რამდენიმე ციკლად იყოფა: ძველი აღთქმისეული სიუჟეტები, რომლებშიც დეტალურადაა გადმოცემული ბიბლიური ისტორია, დავითის ისტორია, მისი ბრძოლები, უთანხმოება აბე-

სალომთან, ებრაელთა ისტორია დავითის შემდეგ, ასევე იოსებისა და მისი ძმების ისტორია, ივდითის ამბავი, მოსესა და ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის ისტორია; ცალკე ფურცლებზე წარმოგვიდგებიან ბიბლიური მამამთავრები და წინასწარმეტყველები. ხელნაწერებში უხვადაა მოცემული თავად დავითის გამოსახულებები – მუხლმოყრილი მლოც-ველის, მავედრებლისა თუ მგლოვიარის პოზაში. ცალკეულ ხელნაწერებში (მაგ., ყანჩაეთის ჟამნ-გულანში H-1452) გვხვდება სამყაროს შექმნის რამდენიმე კომპოზიცია. ძველი აღთქმის ცალკეული სიუჟეტები გაბნეულია სხვადასხვა პერიოდის ქართულ ლიტურგიკულ კრებულებსა და ოთხთავებში.

იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრების ამსახველი თემები შუა საუკუნეების წიგნის მხატვრობაში განსაკუთრებული თანმიმდევრობით და კანონის შესაბამისად აისახა. ქრისტოლოგიურ ციკლში შედის ისეთი პროგრამები, რომლებმაც განსაზღვრეს ქრისტიანული მრწამსის ძირითადი არსი და მესიანისტური იდეა წარმოაჩინეს. მაცხოვრის მოვლინების შესახებ ოთხი მახარებლისა და აპოკრიფული ტექსტების გარდა იოანეს ხილვა (აპოკალიფსი) გვამცნობს.

ქრისტოლოგიური ციკლი იწყება ღვთისმშობლის ხარების კომპოზიციით. შესაბამისად, უძველესი ქართული ლიტურ-გიკული ხელნაწერების (იადგარების) კალენდარი იწყება ხარებით. XI-XVIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა გაფორ-მებაში ჩართული საუფლო დღესასწაულების კომპოზიციები საუკუნეების განმავლობაში მისდევდა იმდროინდელ საქრისტიანოში დამკვიდრებულ იკონოგრაფიულ სქემებსა და ნორმებს, მხატვრებს შეჰქონდათ კორექტივები ამ სიუ-ჟეტების გამოსახვისას, იზიარებდნენ ადგილობრივ, ქართულ მხატვრულ ტრადიციებსა და ზოგადად, ამა თუ იმ ტიპის სასულიერო ხელნაწერისათვის სახასიათო თავისებურებებს. ქრისტოლოგიური თემატიკა წამყვანია შუა საუკუნეების ხელოვნებაში და შესაბამისად ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში, ეს თემატიკა საზრდოობს სახარებისეული და აპოკ-რიფული ტექსტების ინტერპრეტაციით.

საუფლო დღესასწაულების ამსახველი მინიატიურები ლაკონური კომპოზიციიდან რთულისკენ ვითარდებოდა და ემატებოდა საღვთისმეტყველო შინაარსის მატარებელი ელემენტები. ასევე თვალშისაცემია ლიტერატურულ ტექსტებში მარტივი ერთსტროფიანი საგალობლებიდან რთული ცხრაოდიანი ჰიმნოგრაფიული კანონების განვითარება, რაც თეო-ლოგიური შინაარსის გაღრმავებას და მეტ გამომსახველობას ისახავდა მიზნად. ჰომილეტიკური საკითხავებიც საუ-კუნეთა განმავლობაში ივრცობოდა და მრავალფეროვან შინაარსს იძენდა, მაგ., ტექსტებში წმინდა წერილის ციტა-ტების გარდა ჩნდება დოგმატური ხასიათის ჩანართები.

ღვთისმშობლის თემა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ქრისტიანობის ადრეული საუკუნეებიდან ჩნდება. ეფესოს კრების შემდეგ, რომელმაც დაადგინა წმინდა მარიამის აღმნიშვნელ ტერმინად „თეოტოკოსი“-ღვთისმშობელი ქრისტო-ლოგიური შინაარსით, ღვთისმშობლის შესახებ წერილობითი წყაროებიც გაჩნდა. ცნობილია, რომ მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ღვთისმშობლის ცხოვრებისა და გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას აპოკრიფული ლიტერატურა გვაწვდის. აპოკრიფებზე დაყრდნობით შეიქმნა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილეტიკური და ჰიმნოგრაფიული თხზულებები. აპოკრიფები ადრევე ითარგმნა ქართულად და ფართოდ აისახა ქართულ წიგნის მხატვრობაში ცალკეული სიუჟეტებისა

და ციკლების სახით. ღვთისმშობლის მიძინების კომპოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ შედის ღვთისმშობლის ციკლში, მაინც განიხილება, როგორც საუფლო დღესასწაულების შემადგენელი სიუჟეტი. ქართულ დასურათებულ ხელნაწერებში დაცული ღვთისმშობლის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ფერწერული ისტორია საერთო კომპოზიციით, სცენათა შერჩევითა და განთავსების წესით, ძირითადი იკონოგრაფიული თავისებურებებით აღმოსავლეთ ქრისტიანული ტრადიციების ამსახველია.

ალბომი მოიცავს ქართულ ხელნაწერებში დაცული ბიბლიური ტექსტების ყველაზე მეტად გავრცელებულ სიუჟეტებსა და ძირითად ქრისტოლოგიურ დოგმატებთან გაიგივებულ კომპოზიციებს, იმ ქრისტოლოგიურ და ღვთისმშობლის დღესასწაულების ციკლებს, რომლებიც ქმნიან ძირითად საფუძველს მინიატიურათა სიუჟეტებისა.

The manuscript book is a sample of harmonic confluence of spiritual culture, artistic and theological thought. The samples of the miniature painting, inserted in the manuscripts, and the texts are the important sources for research of the medieval Georgian art and literature. The texts and the elements of their decoration reflect the respective artistic and literary tendencies of the epoch. Thus, the Georgian manuscripts of the $9^{th}$-$18^{th}$ cc. are reflections of cultural background and political environment of the period.

The manuscripts, created in the cultural centers, demonstrated various stages of the original literary and artistic development, according to the advancement of the art of translation and, in general, the prosperity of education and literacy.

The Georgian manuscript heritage, particularly the miniature painting, inserted in the manuscripts, is an important specimen of Christian culture. The iconographic areal of the miniatures, preserved in the manuscripts of the $9^{th}$-$18^{th}$ cc., according to the content of the same manuscripts, covers the themes from the Old and New Testaments, theological and liturgical compositions and hymnography.

In the process of research of the miniature painting, the question of content of the themes, figures and single topics was repeatedly risen, alongside with the problems of their symbolic meaning and iconographical canon, according to which the same theme has changed over centuries.

The Biblical (Old and New Testaments) images and themes were portrayed in the compositions of various genres of ecclesiastic literature. From this point of view, the homiletics, hymnography and apocryphal texts are the most diversified; therefore, the textual interpretation of the Biblical themes excites multi-aspectual interest.

The conception and development of the Georgian hymnography and homiletics followed after the Byzantine literary traditions but, the same time, they demonstrated their original development. The textual style of Georgian translations altered according to the centuries ($9^{th}$-$11^{th}$ cc.).

These alterations were caused by generation of cultural ties with Byzantine Palestine in the $9^{th}$-$10^{th}$ centuries and with Constantinople (since $10^{th}$ c.), as well as by the subsequent transition from the Jerusalem ecclesiastic rite to the Constantinopolitan practice. Thus, these important moments considerably determined the character of the ecclesiastic literature and the book painting.

According to the Georgian and Byzantine medieval esthetic thought, the canonicity of the images became leading in the medieval art. The iconographic schemes formed in the early Christian period, especially in Constantinople and Byzantine provinces of Anatolia, bacame canonical after defeating the iconoclasm in the $9^{th}$-$10^{th}$ cc. In the $6^{th}$-$7^{th}$ centuries the dogmatic composition of Scripture and the fundamental dogmas of the Christian Church were formed and subsequently mirrored in the resolutions of the world Ecumenical councils. These resolutions established the ecclesiastic celebrations, introduced the rules for Saints' images, determined the essence of images and icons. The special importance was given to the statements of the $5^{th}$-$6^{th}$ Ecumenical Councils which discussed the problems of art. Henceforward, the abstract symbols were denied. The Council established the obligatory replacement of symbols of the Old Testament and early Christianity by the direct images. First of all, this concerned the image of Saviour with human face.

The main source of the Gospel illustrations is the New Testament. Most of them are shortly narrated in the canonical texts; therefore, the attempt was made to enrich them with other sources for more artistic expressivity. With that end in view, mainly the apocrypha, as well as hymnography, homilies and other works of the church fathers were used.

The image of Saviour and the Gospel themes are the basis which the medieval art was rest on. The closest thing to the literary sources was the book painting. The miniature painting was relatively "free" than other fields of art; therefore, this had an influence on the diversity and free interpretation of the themes. Aside from the Byzantine sources, we should consider the oriental Christian traditions as iconographic fount for Georgian book painting. At the same time, we can identify the mature and shaped iconographic art of Georgian book painters on the earliest stage of development of Georgian book art (9th-10th).

The iconographic scheme was closely related with the text of the manuscript, mainly with the Gospel.

In Christianity, the psalms have a very special place following the Gospel because of their value. Thanks to Georgian Christian art, several illuminated books of Psalms (H-1665, H-75, I-181) came down to us. The compositions included in these books are divided in several cycles: the plot miniatures from the Old Testament which narrate in detail the Biblical story, David's story, his battles, the conflict with Absalom, the history of Jewish people after David, as well as the history of Joseph and his brothers, Judith's story, the story of Exodus of Moses and Israelites. In the separate pages, the images of biblical patriarchs and prophets are depicted. The manuscripts stand out with an abundance of David's images – we see him

in the posture of a prayer kneeled down or while imploring and mourning. In the single manuscripts (H-1452 – Zhamn Gulani of Kanchaeti) we find several compositions of the creation of the world. Some themes of the Old Testament are dispersed in the Georgian liturgical collections and four Gospels of various periods.

The themes of Jesus Christ's and Holy Virgin's mundane life were reflected in the medieval book painting according to a special order and canons. The programs which determined precisely the essence of the Christian faith and revealed the messianic idea are included in the Christological cycle. Aside from all four evangelists and apocryphal texts, the Apocalypse of John also tells aboutSaviour's appearance.

The Christological cycle starts with the composition of the Annunciation of the Holy Virgin Mary, therefore the calendar of the oldest Georgian liturgical manuscripts (Iadgari) is also started with the Annunciation. For centuries, the compositions of the Great Feasts inserted in the decoration of Georgian manuscripts of the 11$^{th}$-18$^{th}$ centuries, followed the iconographic schemes and norms spread in Christian world of the period, although the painters made corrections, shared the local Georgian artistic traditions and, in general, paid special attention to the characteristic peculiarities of different spiritual manuscripts. The Christological themes are the mainstream line in the medieval art and, therefore, in the Georgian manuscript tradition. These themes are nourished by the interpretation of the Gospel and apocryphal texts.

The miniatures reflecting the Great Feasts were in progress from the laconic to complex compositions and were accomplished by the elements of the theological content. It is also obvious the development of the complex nine odes hymnography canon on the basis of the simple one strophic chants; therefore, it was aimed to the intensification of the theological content and more expressivity. The homiletic readings were also extending and acquiring different content during centuries; for instance, aside from the quotations from Scripture, the insertions of dogmatic character appeared in the text.

The theme of the Holy Virgin has been appeared in the Christian theology since early Christianity. Soon after the Ecumenical Council of Ephesus which approved Theotocos as a term denoting the Holy Virgin – the mother of Jesus in Christological meaning, other written sources about the Holy Virgin Mary appeared. It is known that after the crucifixion, the apocryphal literature provides us with information about the Holy Virgin' s life and death. On the basis of the apocrypha, the homiletic and hymnography compositions dedicated to the Holy Virgin were created. The apocrypha were translated in Georgian in the early period and they were widely spread in the form of single themes and whole cycles. The composition of Dormition of the Holy Virgin, although is a part of the Holy Virgin's cycle, is still considered as a component of the Great Feasts. The depicted history dedicated to the Holy Virgin's life preserved in the illuminated Georgian manuscripts, according to the common composition, choice of the scenes, canons of their arrangement and main iconographic peculiarities is a reflection of the East Christian traditions.

The Album includes the most famous plot miniatures of the biblical texts come down to us in the Georgian manuscripts, the compositions identified with the main Feasts, as well as the Christological dogmas and the Holy Virgin's cycles which are the basis of the themes of miniatures.

## ძველი აღთქმის სიუჟეტები

ძველი აღთქმის სიუჟეტები ქართულ დასურათებულ ხელნაწერებში ბიბლიის ტექსტებიდან იღებს სათავეს. სამყაროს შექმნა, მოსეს მიერ ებრაელთა გამოყვანა ეგვიპტიდან, დავით წინასწარმეტყველის ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები ბიბლიის ქართულ რედაქციებში ტექსტობრივი განვითარების ეტაპების მიხედვით არის წარმოდგენილი. ამ ტექსტების პარალელურად ჩნდება შესაბამისი თემატიკის იკონოგრაფია. ბიბლიური წიგნების გარდა დავით წინასწარმეტყველისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონების (იოანე დამასკელის, კოზმა იერუსალიმელის) უძველესი თარგმანები ჩნდება ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, იადგარებში. ქართულ ხელნაწერებში ძველი აღთქმის სიუჟეტები ფსალმუნთა დასურათებაში და გულანებში გვხვდება, ცალკეული სცენები ოთხთავთა გაფორმებაშიც ჩანს. ხელნაწერებში ჩართული სიუჟეტური კომპოზიციები რამდენიმე ციკლად იყოფა: სამყაროს შექმნის ისტორია, მოსე და ებრაელთა გამოსვლა ეგვიპტიდან, მეფე დავითის ისტორია, იოსების და მისი ძმების ისტორია, ივდითის ამბავი და სხვ.).

## THEMES OF THE OLD TESTAMENT

In the illuminated Georgian manuscripts the compositions of the Old Testament take origin from the texts of Bible. The themes reflecting the creation of the world, the Exodus from Egypt of Israelites led by Moses, the life of David the Prophet are presented in Georgian translations of the Bible according to the stages of textual development. Simultaneously to these texts appeared the respective iconography. Aside from the biblical books, the ancient translations of the hymnography canons dedicated to David the Prophet (John of Damascus, Cosmas of Jerusalem) appeared in so called Iadgari – the Georgian hymnography collections.

We can find the themes of the Old Testament in the illustration of the Psalms and Gulani manuscripts. The plot compositions inserted in the manuscripts are divided in several cycles: the history of the creation of world, story of David, story of Joseph and his brothers, story of Judith, Moses and the Exodus of the Israelites from Egypt and etc.



ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 | Zhamn-Gulani of Kanchaeti. 1674.
ცისა და წყლის შექმნა | Creation of the Heavenes and Oceans
H-1452, 6r



ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 | Zhamn-Gulani of Kanchaeti. 1674.
დღისა და ღამის შექმნა | Creation of the Day and Night
H-1452, 7r



ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 | Zhamn-Gulani of Kanchaeti. 1674.
სამყაროს შექმნა | Creation of the World
H-1452, 8r



ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 | Zhamn-Gulani of Kanchaeti. 1674.
ადამი სამოთხეში | Adam in Paradise
H-1452, 9v



ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 | Zhamn-Gulani of Kanchaeti. 1674.
ადამის შექმნა | Creation of Adam
H-1452, 10r



ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 | Zhamn-Gulani of Kanchaeti. 1674.
ადამი და ევა სამოთხეში. ხის ნაყოფის შეცნობა |
Adam and Eva in Paradise and Tree of Knowledge
H-1452, 11r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
ებრაელთა გამოსვლა ეგვიპტიდან | Exodus of the Israelites out of Egypt
H-1665, 209r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
მეწამული ზღვის გადალახვა | The Crossing of the Red Sea
H-1665, 201r



ლიტურგიკული კრებული. XV ს. | Liturgical Book. 15th c.
მოსესათვის კანონთა გადაცემა | Moses Receiving the Ten Commandments
A-733, 104r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
მოსე და აარონი. ებრაელთა დაპურება უდაბნოში |
Moses and Aaron. Israelites in the Dessert
H-1665, 210v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
დავითი | David
H-1665, 233v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
დავითი შურდულს სტყორცნის გოლიათს | David Shooting Goliath with a Sling
H-1665, 229v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
გოლიათი | Goliath
H-1665, 230r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
დავითი გოლიათის თავით | David with the Head of Goliath
H-1665, 230v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
მეფე საული მახვილს ესვრის დავითს | King Saul Threatening David
H-1665, 228r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
მეფე დავითი | King David
H-1665, 228v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
დავითი და იონათანი | David and Jonathan
H-1665, 182v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
დავითი და აბუმელექი | David and Abumelech
H-1665, 227r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
დავითი და აბგეა | David and Abigail
H-1665, 218v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
წინასწარმეტყველი სამოელი ზეთს სცხებს დავითს | Samuel anoints David
H-1665, 179v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
მეფე დავითი და ბერსაბე | King David and Bathsheba
H-1665, 226r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
მეფე დავითი და ნათან წინასწარმეტყველი | King David and the Prophet Nathan
H-1665, 226v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
სოლომონის ზეთის ცხება. სოლომონის როკვა |
Solomon was anoited as King. Dance of Solomon
H-1665, 219r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
სოლომონის ტაძარი | Temple of Solomon
H-1665, 187r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
გედეონი | Gedeon
H-1665, 208r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
იოსები და მისი ძმები | Joseph and His Brothers
H-1665, 202v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
მიქაელ მთავარანგელოზს მიჰყავს ამბაკუმ წინასწარმეტყველი დანიელთან ლომთა ხაროში | Archangel Michael takes Habakkuk to Daniel in Lion's Den
H-1665, 232r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
დანიელი ლომთა ხაროში | Daniel in the Lion's Den
H-1665, 232v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
ნაბუქოდონოსორ მეფე | King Nabuchadnezzar
H-1665, 235r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
ანანია, აზარია, მისაელი | Hananiah, Azariah, Mishael
H-1665, 200v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
წინასწარმეტყველი დებორა | Prophet Deborah
H-1665, 205r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
სამსონი და დალილა | Samson and Dalilah
H-1665, 216r

## ხარება

საუკუნეების განმავლობაში ამ თემის მთავარი იკონოგრაფიული და ლიტერატურული წყაროები ლუკას სახარება (1: 26-39), იაკობის პირველსახარება და ფსევდომათეს სახარება იყო, ასევე ჰომილიები (პეტრე იერუსალიმელის, გრიგოლ ნაზიანზელის, იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის და სხვათა) და საგალობლები (მაგალითად, უძველესი იადგარის ჰიმნები). ქართულ მინიატიურულ მხატვრობაში ხარების კომპოზიცია პირველად 1030 წლით დათარიღებულ მცირე სვინაქსარში (A-648) გვხვდება.

## THE ANNUNCIATION

For centuries, the Gospel of Luke (1:26-39), the Protoevangelium of Jacob, the Gospel of Pseudo-Matthew, as well as the homilies (by Peter of Jerusalem, Gregory the Nazianzus, John the Chrysostom, Basil the Great and others) and chants (for instance, the Hymns of the ancient Iadgari) remained the main thematic, iconographic and literary sources for the Annunciation.
For the first time in the Georgian miniature painting the composition of the Annunciation appeared in the Minor Synaxarion (A-648) – dated by 1030.





მცირე სვინაქსარი. 1030 | Minor Synaxarion. 1030

A-648, 33r

გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.

Q-908, 147r

ჯრუჭის ოთხთავი. XII-XII სს. | Jruchi Gospels. 12-13th c.

H-1667, 126v

ვანის ოთხთავი. XII-XII სს. | Vani Gospels. 12-13th c.

A-1335, 131v







ლარგვისის ოთხთავი. XIII ს. | Largvisi Gospels. 13th c.

A-26, 23r

მოქვის ოთხთავი. 1300 | Mokvi Gospels. 1300

Q-902, 164r





ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.

H-1665, 171r

ოთხთავი. XV ს. | Gospels. 15th c.

Q-84, 92v

ოთხთავი. 1502 | Gospels. 1502

K-375, 109r

ბერძნულ-ქართული ლიტურგიკული კრებული. XV ს. | Greek-Georgian Liturgical Book. 15th c.

01.58, 30r







ანჩისხატის გულანი. 1681 | Gulani of Anchiskhati. 1681
A-31, 36v

ლიტურგიკული კრებული. XVII ს. | Liturgical Book. 17th c.
A-125, 77v





სახარება-სამოციქულო. 1763 | Gospels-Apostolos. 1763

K-104, 260v



## შობა

ქრისტეშობის თემა წამყვანია შუა საუკუნეების ხელოვ ნე ბაში და შეიქმნა სახარებისეული ტექსტებისა (მათე 2:1-2; ლუკა 2:6-16) და აპოკრიფული ციკლების (იაკობის პირველსახარება, მაცხოვრის ბავშვობის ამსახველი აპოკ რიფული ტექსტები) ინტერპრეტაციით, აგრეთვე ლიტურგიკულ კრებულებში ასახული ჰიმ ნოგრაფიული მასალით. შობის თემას ასევე უკავშირდება მოგვთა თაყვანისცემისა და მწყემსთა ხარების სიუჟეტებიც.

## THE NATIVITY

The theme of Jesus Christ's Nativity is leading in the medieval art. It was created on the basis of interpretation of the Biblical texts (Matthew 2:1-2; Luke 2:6-16) and apocryphal cycle (the Protoevangelion of Jacob, apocrypha reflecting the Saviour's childhood), as well as hymnography material represented in the liturgical collections. The themes of the Adoration of the Magi and the Annunciation to the Shepherds are also related to the theme of the Nativity of Jesus.



მცირე სვინაქსარი. 1030 | Minor Synaxarion. 1030
A-648, 22r



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 18r



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 150r



ჯრუჭის ოთხთავი. XII-XIII სს. | Jruchi Gospels. 12-13th c.

H-1667, 129v



ვანის ოთხთავი. XII-XII სს. | Vani Gospels. 12-13th c.

A-1335, 9v



ლარგვისის ოთხთავი. XIII ს. | Largvisi Gospels. 13th c.

A-26, 24v

მოქვის ოთხთავი. 1300 | Mokvi Gospels. 1300
Q-902, 16r
მოქვის ოთხთავი. 1300 | Mokvi Gospels. 1300
Q-902, 168r







ბერძნულ-ქართული ლიტურგიკული კრებული. XV ს. | Greek-Georgian Liturgical Book. 15th c.

01.58, 30v

ბერძნულ-ქართული ლიტურგიკული კრებული. XV ს. | Greek-Georgian Liturgical Book. 15th c.

01.58, 91v





ოთხთავი. 1502 | Gospels. 1502
K-375, 11r





გულანი. XVII ს. | Gulani. 17th c.

S-1277. 64v

ღვთისმშობლის დაუჯდომელი. 1681 | Akathystos of the Holy Virgin. 1681

H-98. 8v

## მირქმა

მირქმა ანუ მიგებება იესო ქრისტესი ათორმეტთაგან ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია. ამ სცენის ძირითადი არსი, რომელიც ლუკას სახარებაშია აღწერილი (ლუკა 2:21-39), იუდეურ-ებრაულ ტრადიციას უკავშირდება. ქართულ მინიატიურულ მხატვრობაში მირქმის კომპოზიციის ერთ-ერთი ადრეული სახე გელათის ოთხთავის (Q-908) დასურათებაში გამოჩნდა. მირქმას ლიტერატურული პარალელები ეძებნება ჰომილეტიკურ და ჰიმნოგრაფიულ კრებულებში.

## THE PRESENTATION OF JESUS AT THE TEMPLE

Presentation of Jesus at the Temple is one of the twelve Great Feasts. The essence of this scene, described in the Gospel of Luke (Luke 2: 21-39) is tied with the Judaism and Jewish traditions. One of the earliest images of the Presentation of Jesus at the Temple in Georgian miniature painting appears in the Gelati Gospels (Q-908). The literary parallels of this theme can be found in homiletic and hymnography collections.



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 151v



ჯრუჭის ოთხთავი. XII-XII სს. | Jruchi Gospels. 12-13th c.
H-1667, 131r

მოქვის ოთხთავი. 1300 | Mokvi Gospels. 1300
Q-902, 169v





შემოქმედის გულანი. XVIII ს. | Gulani of Shemokmedi. 18th c.
Q-103ა, 261r

სამოციქულო. XVIII ს. | Apostolos. 18th c.
A-910, 300r



## ნათლისღება

ნათლისღება შუა საუკუნეების ხელოვნებაში გააზრებულია, როგორც იესო ქრისტეს ხალხთან გამოცხადება მაცხოვრის სახით ე. წ. ეპიფანია. ქართულ ტრადიციაში ნათლისღების პირველი კომპოზიცია მცირე სვინაქსარში (A-648) ჩანს. ნათ ლისღების ლიტერატურული დადასტურება სახარების ტექ სტებში (მათე 3: 1-17, მარკოზი 1:4-10, ლუკა 3:4-19, იოანე 1:26-30), ჰიმნოგრაფიულ (მაგ., კოზმა იერუსალიმელის ნათლისღების კანონის თარგმანები) და ჰომილეტიკურ (მაგ., გრიგოლ ნოსელის, ევსები ალექსანდრიელის, იოანე ოქ რო პორის, პროკლე კონსტანტინეპოლელის და სხვათა ჰო მილიები) კრებულებში გვხვდება.

## THE EPIPHANY

In the medieval art, it is seen as Jesus Christ's manifestation to the world as the Saviour – so called Epiphany. The first composition of the Epiphany is given in the Small Synaxarion (A-648). This is a first appearance of this theme in Georgian manuscripts. We can see the literary corroboration of the Epiphany in the texts of the Gospel (Matthew 3:1-17, Mark 1:4-10, Luke 3: 4-19, John 1:26-30), as well as in the hymnography (for instance, the translations of the Canon of the Epiphany by Cosmas of Jerusalem) and homiletic collections (for instance, the homilies by Gregory of Nyssa, Eusebius of Alexandria, John Chrysostom, Proclus of Constantinople, etc.).



მცირე სვინაქსარი. 1030 | Minor Synaxarion. 1030

A-648, 26r



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.

Q-908, 25v



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.

Q-908, 93v



ჯრუჭის ოთხთავი. XII-XII სს. | Jruchi Gospels. 12-13th c.

H-1667, 135r



ვანის ოთხთავი. XII-XII სს. | Vani Gospels. 12-13th c.

A-1335, 81v



გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული. XIII ს. | Homilies of Gregory of Nazianzus. 13th c.

A-109, 73v



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.

H-1665, 176r

## ფერისცვალება

მაცხოვრის მრავალრიცხოვან სასწაულთა შორის გამორჩეულია სახარებისეული თხრობა თაბორის მთაზე ფერისცვალების შესახებ. სახარებისეული სიუჟეტის (მათე 17:1-13, მარკოზი 9:2-13, ლუკა 9:28-37) ინტერპრეტაცია გვხვდება ჰომილეტიკურ და ჰიმნოგრაფიულ კრებულებშიც (მაგ., კოზმა იერუსალიმელის საგალობელი, იოანე კონსტანტინეპოლელის ჰომილია, თეოდორე ჰარანელის ჰომილია, ეფრემ ასურის თხზულებები და სხვა). ფერისცვალების კომპოზიცია პირველად ქართულ დასურათებულ ხელნაწერებში გელათის ოთხთავის (Q-908) მინიატიურებში გვხვდება.

## THE TRANSFIGURATION OF JESUS

The Biblical narrative of the transfiguration of Jesus on the mount Tabor is one of the most distinguished from the miracles of the Saviour. The interpretation of the Gospel theme (Matthew 17:1-13, Mark 9: 2-13, Luke 9: 28-37) is presented in homiletic and hymnography collections (for instance, the chant by Cosmas of Jerusalem, homilies by John of Constantinople and Theodore of Harran, in the works of Ephrem the Syrian and etc.). For the first time the composition of the Transfiguration of Jesus can be found in the miniature painting of the Gelati Gospel (Q-908).





გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 55v

გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 115v

გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.

Q-908, 176v

ჯრუჭის ოთხთავი. XII-XII სს. | Jruchi Gospels. 12-13th c.

H-1667, 100r





ჯრუჭის ოთხთავი. XII-XII სს. | Jruchi Gospels. 12-13th c.
H-1667, 154v

ჯრუჭის ოთხთავი. XII-XII სს. | Jruchi Gospels. 12-13th c.
H-1667, 46v











ლიტურგიკული კრებული. XV ს. | Liturgical Book. 15$^{th}$ c.
K-115, 156აv

ოთხთავი. 1639 | Gospels. 1639
A-514, 96r

შემოქმედის გულანი. XVIII ს. | Gulani of Shemokmedi. 18$^{th}$ c.
Q-103$^{ბ}$, 402v

## ლაზარეს აღდგინება

ლაზარეს აღდგინების ამბავი მხოლოდ იოა ნეს სა ხარებაშია (11:1-45) მოთხრობილი. სახარე ბის ტექსტის ლიტერატურული დამუშავება ეპიფანე კვიპრელს ეკუთვნის, რომლის ნაშრო მიც ხშირად შთაგონების წყარო იყო შუა საუკუნე ების მხატვრებისთვის. ლიტერატურულ წყაროდ შეიძლება ასევე მივიჩნიოთ სინურ მრავალთავში ჩართული უცნობი ავტორის ჰომილია. საუკუნეების განმავლობაში ამ თემის იკონოგრაფიულ სქემას ცვლილება არ განუცდია. ქართულ ხელნაწერებში ლაზარეს აღდგინება ლაკონური რედაქციითაა წარმოდგენილი და პირველად მცირე სვინაქსრის (A-648) დასურათებაშია ჩართული.

## THE RAISING OF LAZARUS

The story of the Raising of Lazarus is narrated only in the Gospel of John (11:1-45). The literary development of the Gospel text belongs to Epiphanius of Cyprus. His work inspired medieval painters. We can also consider the homely by anonymous author, inserted in the Sinai Polikefalion as its literary source. For centuries, the iconographic scheme of this theme did not change. In Georgian manuscripts the Raising of Lazarus is given in laconic version; the first time it is inserted in the illustrations of the Small Synaxarion.



მცირე სვინაქსარი. 1030 | Small Synaxarion. 1030

A-648, 34r





ჯრუჭის ოთხთავი. XII-XII სს. | Jruchi Gospels. 12-13$^{th}$ c.
H-1667, 230v

ლიტურგიკული კრებული. XV ს. | Liturgical Book. 15$^{th}$ c.
K-115, 156$^{ა}$r



ოთხთავი. 1639 | Gospels. 1639

A-514, 113r



ოთხთავი. XVII ს. | Gospels. 17th c.

A-619, 210v



ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 | Zhamn-Gulani of Kanchaeti. 1674

H-1452, 500v



შემოქმედის გულანი. 1749 | Gulani of Shemokmedi. 1749

Q-103[ა], 533r

## იერუსალემად შესვლა

იერუსალემად შესვლა აღწერილია სამ სახარებაში: მათე (21:3-10) მარკოზი (2:21-11) და იოანე (12:13-14). ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილი ლიტერატურული მასალა შედარებით ნაკლებია სხვა საუფლო დღესასწაულების საკითხავებთან და საგალობლებთან შედარებით. უძველეს იადგარში ვხვდებით საგალობლებს მაცხოვრის იერუსალიმში შებრძანების შესახებ. ბზობის ჰომილიების ავტორები არიან იოანე ოქროპირი, მელეტი ანტიოქიელი და სხვ. მინიატიურა, რომელიც ასახავს იერუსალემად შესვლას, პირველად მცირე სვინაქსარში (A-648) გვხვდება და უკვე ჩამოყა ლიბებული იკონოგრაფიული სქემის არსებობას ადას ტურებს.

## THE ENTRY INTO JERUSALEM

Entry into Jerusalem is described in three Gospels: Matthew (21:3-1, Mark (2:21-11 and John (12:13-14. The literary materials dedicated to this feast are relatively less in comparison with the readings and chants for other Great feasts. In the oldest Iadgari we find the chants dedicated to Jesus' entry into Jerusalem. John Chrysostom, Meletius of Antioch and other authors wrote the Palm Sunday homilies /Homilies for Palm Sunday/. The first time the miniature reflecting the Jesus' Entry into Jerusalem appears in the Minor Synaxarion (A-648 and it proves the maturity and full development of the iconographic schemes.



მცირე სვინაქსარი. 1030 | Minor Synaxarion. 1030

A-648, 33r



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.

Q-908, 64v



ლარგვისის ოთხთავი. XIII ს. | Largvisi Gospels. 13th c.

A-26, 382v

მოქვის ოთხთავი. 1300 | Mokvi Gospels. 1300
Q-902, 70v

ოთხთავი. 1639 | Gospels. 1639
A-514, 6r







ოთხთავი. XVII ს. | Gospels. 17th c.

A-619, 47v

ანჩისხატის გულანი. 1681 | Gulani of Anchiskhati. 1681

A-32, 152r









შემოქმედის გულანი. 1749 | Gulani of Shemokmedi. 1749

Q-103ბ, 538r

გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
საიდუმლო სერობა | The Last Supper

Q-908, 78r

გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
საიდუმლო სერობა | The Last Supper

Q-908, 210r





გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
ფერხთაბანა | Christ washing the Disciples Feet

Q-908, 259v

მოქვის ოთხთავი. 1300 | Mokvi Gospels. 1300
საიდუმლო სერობა | The Last Supper

Q-902, 89v



ლიტურგიკული კრებული. XVII ს. | Liturgical Book. 17th c.
A-125, 89v




ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 | Zhamn-Gulani of Kanchaeti. 1674.
H-1452, 502r



მცირე სვინაქსარი. 1030 | Minor Synaxarion. 1030
იუდას ამბორი | Kiss of Judas
A-648, 36r



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
იუდას ამბორი | Kiss of Judas
A-648, 80r

## ჯვარცმა

საუფლო ციკლის ცენტრალური თემაა ჯვარცმა. ჯვარცმას წინ უსწრებს საიდუმლო სერობა, რომელიც სახვით ხელოვნებაში ხშირად გამოისახება და წარმოგვიდგება, როგორც ქრისტეს მიერ განხორციელებული პირველი ევქარისტია; მას მოსდევს ფერხთა ბანა და იუდას ამბორი. ჯვარცმის ლიტერატურული წყაროებია სახარების ტექსტი: მათე 27:27-56, მარკოზი 15:22-41, ლუკა 23:33-49, იოანე 19:1-37 და ლიტურგიკული და ჰომილეტიკური ტექსტები. ჯვარცმის მინიატიურა პირველად გვხვდება მცირე სვინაქსარში (A-648).

## THE CRUCIFIXION

The Crucifixion is a central theme in the Great Feasts cycle. It is preceded by the Last Supper which in visual arts is often expressed as the first Eucharist instituted by Jesus Christ; followed by the compositions of Christ washing the Disciples Feet and the Kiss of Judas. The literary sources of the Crucifixion is the Gospel text: Matthew (27:27-56), Mark (15:22-41), Luke (23:33-49), John (19: 1-37), as well as the liturgical and homiletic texts. The first miniature painting of the Crucifixion is found in the Minor Synaxarion (A-648).



მცირე სვინაქსარი. 1030 | Minor Synaxarion. 1030

A-648, 39r



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 215v



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 273v



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 163v

გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 84r



ჯრუჭის ოთხთავი. XII-XII სს. | Jruchi Gospels. 12-13th c.
H-1667, 75v

ჯრუჭის ოთხთავი. XII-XII სს. | Jruchi Gospels. 12-13th c.
H-1667, 194v









ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
H-1665, 172r

ფსალმუნი. XVI ს. | Psalter. 16th c.
H-75, 61v

ანჩისხატის გულანი. 1681 | Gulani of Anchiskhati. 1681
A-30, 187r





ლიტურგიკული კრებული. XVII ს. | Liturgical Book. 17th c.
A-125, 134v

შემოქმედის გულანი. 1749 | Gulani of Shemokmedi. 1749
Q-103ბ, 557r



## აღდგომა – ჯოჯოხეთის წარმოტყუევნა

აღდგომა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, ამიტომ სახარებისეული ტექსტების გვერდით ქართულ ტრადიციაში ადრეული პერიოდიდან ჩნდება მისდამი მიძღვნილი საგალობლები და ჰომილიები, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი (იოანე დამასკელი, კოზმა იერუსალიმელი, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, კურდანა, ათანასე ალექსანდრიელი, ეპიფანე კვიპრელი, იოანე ოქროპირი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და სხვ.). პირველი მინიატიურა გვხვდება მცირე სვინაქსარში (A-648).

## THE RESURRECTION – DESCENT INTO HELL – ANASTASIS

The Resurrection is the most important Christian feast, therefore, from the earliest period, along with the Gospel texts, in Georgian Christian tradition, the original and translated chants and homilies, dedicated to the Resurrection, appeared (John of Damascus, Cosmas of Jerusalem, Mikael Modrekili, Ioane Minchkhi, Kurdana, Athanasius of Alexandria, Epiphanius of Cyprus, John Chrysostom, Gregory of Nazianzus, etc.). The first miniature is presented in the Minor Synaxarion (A-648).



მცირე სვინაქსარი. 1030 | Minor Synaxarion. 1030

A-648, 40r

ვანის ოთხთავი. XII-XII სს. | Vani Gospels. 12-13$^{th}$ c.
A-1335, 210v

ჯრუჭის ოთხთავი. XII-XIII სს. | Jruchi Gospels. 12-13$^{th}$ c.
H-1667, 195r





გულანი. XVIII ს. | Gulani. 18th c.

H-1714, 586v





შემოქმედის გულანი. XVIII ს. | Gulani of Shemokmedi. 18$^{th}$ c.

Q-103$^{ბ}$, 577r



გურიანთული გულანი. XVIII ს. | Gulani of Gurianta. 18th c.

Q-104, 45v



მცირე სვინაქსარი. 1030 | Minor Synaxarion. 1030

წმ. დედები მაცხოვრის საფლავთან | The Holy Women at the Tomb of Christ

A-648, 42r



ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
წმ. დედები მაცხოვრის საფლავთან | The Holy Women at the Tomb of Christ

H-1665, 186r

## ამაღლება

ამაღლების ლიტერატურული წყაროებია სახარება (მარკოზი 16:19-20, ლუკა 24:50-53), საქმე მოციქულთა (1:9-11), ჰომილეტიკური და ჰიმნოგრაფიული კრებულები. ამაღლების თემა ქართულ ხელნაწერთა და სურათებაში პირველად გამოჩნდა მცირე სვინაქსარში (A-648).

## THE ASCENSION

The literary sources of the Ascension are the Gospel (Mark 16: 19-20, Luke 24:50-53), Acts of the Apostles 1:9-11, homiletic and hymnography collections. The Minor Synaxarion (A-648) is the first Georgian illuminated manuscript where the theme of Ascension appears.



მცირე სვინაქსარი. 1030 | Minor Synaxarion. 1030

A-648, 48v



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 140r

გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 220r



ჯრუჭის ოთხთავი. XII-XIII სს. | Jruchi Gospels. 12-13th c.
H-1667, 198v

მოქვის ოთხთავი. 1300 | Mokvi Gospels. 1300
Q-902, 252v





ლარგვისის ზატიკი. XV ს. | Pentecostarion of Largvisi. 15th c.
A-25, 135v

ოთხთავი. 1639 | Gospels. 1639
A-514, 142r





## სულიწმინდის მოფენა

სულიწმინდის გარდამოსვლის თემას ძველ ქართულ წყაროებში ეწოდება მარტვილია. ქართულ იადგარებსა და გვიანდელ ლიტურგიკულ კრებულებში გვხვდება კოზმა იერუსალიმელისა და იოანე დამასკელის ჰიმნოგრაფიულ კანონთა თარგმანები და სხვა ჰიმნოგრაფიული და ჰომილეტიკური მასალა. მათი პირველწყაროა საქმე მოციქულთა 2:1-13. მინიატიურა პირველად გვხვდება გელათის ოთხთავში (Q-908).

## THE PENTECOST

In old Georgian sources the Pentecost is called Mart'vilia. In the Georgian Iadgaris and late liturgical collections we can find the translations of the hymnography canons by Cosmas of Jerusalem and John of Damascus, as well as other hymnography and homiletic materials. Their original source is the Acts of Apostles 2:1-13. The miniature first appears in the Gelati Gospels (Q-908).



გელათის ოთხთავი. XII ს. | Gelati Gospels. 12th c.
Q-908, 220v



გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული. XIII ს. | Homilies of Gregory of Nazianzus. 13th c.

A-109, 210r




ლარგვისის ოთხთავი. XIII ს. | Largvisi Gospels. 13th c.

A-26, 383r



ოთხთავი. 1639 | Gospels. 1639

A-514, 56r



შემოქმედის გულანი. XVIII ს. | Gulani of Shemokmedi. 18th c.

Q-103ბ, 630r

## ჯვრის ამაღლება

პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლება ათორმეტთაგან ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია და უკავშირდება 326 წელს წმ. ელენე დედოფლის მიერ ძელიცხოველის პოვნას. ეს დღესასწაული ჩნდება ჰომილეტიკურ და ჰიმნოგრაფიულ კრებულებში (ანდრია კრიტელის, იოანე ოქროპირის და სხვათა ტექსტები). დასურათებულ ხელნაწერებში პირველად მცირე სვინაქსარში (A-648) გამოჩნდა.

## THE EXALTATION OF THE CROSS

The Exaltation of the Precious and life-creating Cross is one the twelve Great feasts. It is related to the cross discovery by Saint Helen in 326. This feast appears in the homiletic and hymnography collections (texts by Andrew of Crete, John Chrysostom, etc.). The first time the miniatures appears in the Minor Synaxarion (A-648).



მცირე სვინაქსარი. 1030 | Minor Synaxarion. 1030

A-648, 5v



ლიტურგიკული კრებული. XVI ს. | Liturgical Book. 16th c.

A-733, 143v



ანჩისხატის გულანი. 1681 | Gulani of Anchiskhati. 1681

A-30, 30r







ანჩისხატის გულანი. 1681 | Gulani of Anchiskhati. 1681

A-32, 72r

გულანი. XVIII ს. | Gulani. 18th c.

H-1714, 194r

შემოქმედის გულანი. XVIII ს. | Gulani of Shemokmedi. 18th c.

Q-103ა, 117v

შემოქმედის გულანი. XVIII ს. | Gulani of Shemokmedi. 18th c.

Q-103ბ, 327v



## ღვთისმშობლის ციკლი

ღვთისმშობლის შობის, ტაძრად მიყვანებისა და მიძინების თემა ჩნდება აპოკრიფულ, ჰიმნოგრაფიულ და ჰომილეტიკურ ტექსტებში. ამ დღესასწაულების პირველწყაროდ მიიჩნევა აპოკრიფული მწერლობა. ღვთისმშობლის შობის იკონოგრაფია ჩამოყალიბდა იაკობის პირველსახარებისა და ღვთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფის მიხედვით.
ღვთისმშობლის ციკლის ცალკეული სიუჟეტები მინიატიურულ მხატვრობაში ოთხთავებთან ერთად გვხვდება ძირითადად ლიტურგიკულ კრებულებში.

## CYCLE OF THE HOLY VIRGIN MARY

The themes of the Birth, the Presentation and the Dormition of the Virgin Mary appear in apocrypha, hymnography and homiletic texts. It is considered that the first sources of these feasts are the apocryphal writings. The iconography of the Virgin Mary's Birth is formed on the basis of the Protoevangelion of Jacob and the apocrypha of the Virgin Mary's life. Along with the four Gospels, the miniatures paintings of single themes from the Virgin Mary's cycle are found mostly in the liturgical collections.

მცირე სვინაქსარი. 1030 | Minor Synaxarion. 1030
ღვთისმშობლის შობა | Nativity of the Theothokos
A-648, 4r





ფსალმუნი. XV ს. | Psalter. 15th c.
ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანა | The Entrance of the Theothokos into the Temple

H-1665, 171v

მოქვის ოთხთავი. 1300 | Mokvi Gospels. 1300
ღვთისმშობლის მიძინება | Dormition of the Theothokos

Q-902, 327r















შემოქმედის გულანი. 1749 | Gulani of Shemokmedi. 1749
ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანა | The Entrance of the Theothokos into the Temple
Q-103[ა], 181r

შემოქმედის გულანი. 1749 | Gulani of Shemokmedi. 1749
ღვთისმშობლის მიძინება | Dormition of the Theothokos
Q-103[ბ], 411r

ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. 1674 | Zhamn-Gulani of Kanchaeti. 1674.
ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანა | The Entrance of the Theothokos into the Temple
H-1452, 386v

ანჩისხატის გულანი. 1681 | Gulani of Anchiskhati. 1681
ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანა | The Entrance of the Theothokos into the Temple
A-30, 164r

ანჩისხატის გულანი. 1681 | Gulani of Anchiskhati. 1681
ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანა | The Entrance of the Theothokos into the Temple
A-30, 197r



ანჩისხატის გულანი. 1681 | Gulani of Anchiskhati. 1681
ღვთისმშობლის მიძინება | Dormition of the Theothokos

A-30, 295r



ღვთისმშობლის მიძინების სვინაქსარი. 1826 | Synaxarion of the Dormition of the Theothokos. 1826
ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანა | The Entrance of the Theothokos into the Temple

A-1556, 2v



ღვთისმშობლის მიძინების სვინაქსარი. 1826 |
Synaxarion of the Assumption of the Theothokos. 1826
მოციქულები | Apostles
A-1556, 11v



ღვთისმშობლის მიძინების სვინაქსარი. 1826 |
Synaxarion of the Dormition of the Theothokos. 1826
ღვთისმშობლის მიძინება | Dormition of the Theothokos
A-1556, 48r

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42

www.manuscript.ge info@manuscript.ac.ge

1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS